შეტყობინება მეხუთე

ღმერთის განზრახვა იობთან დაკავშირებით – კარგი ადამიანი გახდება ღმერთ-კაცი

ადგილები წერილიდან: იობ. 1:1, 8; 2:3, 9; 27:5; 31:6; 42:5-6; იოანე 1:14; რომ. 1:3-4; 8:29

I. იობი იყო კარგი ადამიანი, რომელიც გამოხატავდა თავის თავს თავის სრულყოფილებაში, სიმართლესა და უბიწოებაში – იობი 27:5; 31:6; 32:1:

ა. სრულყოფილება დაკავშირებულია შინაგან კაცთან, ხოლო სიმართლე – გარეგან კაცთან – 1:1.

ბ. იობი იყო უბიწოების ადამიანი, უბიწოება არის ჯამი სრულყოფილებისა და სიმართლისა – 2:3, 9; 27:5; 31:6:

1. იობის შემთხვევაში უბიწოება არის სრული გამოხატულება იმისა, თუ როგორი იყო ის.
2. რაც შეეხებოდა იობის ხასიათს, ის იყო სრულყოფილი და მართალი, ხოლო რაც შეეხებოდა მის ზნეობრიობას, ის იყო უმაღლეს დონეზე უბიწო.

გ. იობს, დადებითი მხრივ, ეშინოდა ღმერთის, ხოლო, უარყოფითი მხრივ, ის ზურგს აქცევდა ბოროტებას – 1:1:

1. ღმერთმა შექმნა ადამიანი არა უბრალოდ იმისათვის, რომ მას ჰქონოდა ადამიანის შიში და არ გაეკეთებინა არაფერი ცუდი; ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის სახებად და თავის მსგავსებად, რათა ადამიანს გამოეხატა ღმერთი – დაბ. 1:26.
2. ღმერთის გამოხატვა არის რაღაც უფრო მაღალი, ვიდრე ის, რომ გვეშინოდეს ღმერთის და ზურგი შევაქციოთ ბოროტებას.
3. ყველაფერი, რასაც იობმა მიაღწია თავის სრულყოფილებაში, სიმართლესა და უბიწოებაში, იყო სრული ამაოება; მას არ შეუსრულებია ღმერთის ჩანაფიქრი და არ დაუკმაყოფილებია მისი სურვილი, და ამიტომ ის განიცდიდა სიყვარულით სავსე შეშფოთებას იობის მიმართ – იობი 1:6-8; 2:1-3.

დ. მხოლოდ ღმერთმა იცოდა, რომ იობს რჩებოდა ერთი საჭიროება: მის შიგნით არ იყო ღმერთი, ამიტომ ღმერთს უნდოდა, რომ იობს მოეპოვებინა ღმერთი იმ მიზნით, რომ გამოეხატა ღმერთი ღმერთის ჩანაფიქრის შესასრულებლად – 42:5-6.

II. ღმერთის განზრახვა იყო ის, რომ იობი გამხდარიყო ღმერთ-კაცი, რომელიც გამოხატავდა ღმერთს ღმერთის თვისებებში – 22:24-25; 38:1-3:

ა. ღმერთმა მიიყვანა იობი სხვა სფეროში, ღმერთის სფეროში, რათა იობს მოეპოვებინა ღმერთი ნაცვლად თავისი ღირსებებისა თავის სრულყოფილებაში, სამართლიანობასა და უბიწოებაში – 42:5-6.

ბ. ღმერთის განზრახვა იყო ის, რომ გაეხადა იობი ღმერთის ადამიანი, რომელიც ავსებულია ქრისტეთი, ღმერთის განსხეულებით, იმ მიზნით, რომ

იობი ყოფილიყო სისავსე ღმერთისა ღმერთის გამოხატულებისათვის ქრისტეში – 1 ტიმ. 6:11; 2 ტიმ. 3:17.

გ. ღმერთმა დაუქვემდებარა იობი მომშორებელ და დამანგრეველ ზემოქმედებას იმ მიზნით, რომ დაემხო ის, რათა მიეღო საფუძველი და შესაძლებლობა, რომ ხელახლა აეშენებინა ის თვითონ ღმერთისაგან, რომ ის გამხდარიყო ღმერთ-კაცი, ისეთივე, როგორიც არის ღმერთი, სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა მის ღვთაებაში იმ მიზნით, რომ გამოეხატა ღმერთი – ეფეს. 3:16-21.

დ. ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ, ქრისტეში მორწმუნეები, ვიყოთ კარგი ადამიანები; მას უნდა, რომ ჩვენ ვიყოთ ღმერთ-კაცები – იოანე 1:12-13; რომ. 8:16:

1. ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ თავის სახებად, იმისათვის, რომ ჩვენ გამოგვეხატა ღმერთი, და თავისი ბატონობით, რათა ჩვენ წარმოგვედგინა ის – დაბ. 1:26-28.
2. თუ ჩვენ ვართ უბრალოდ კარგი ადამიანი, ჩვენ ვერ გამოვხატავთ ღმერთს და ვერ წარმოვადგენთ ღმერთს.
3. სწორედ ღმერთ-კაცი, და არა კარგი ადამიანი გამოხატავს ღმერთს და წარმოადგენს ღმერთს – 2 კორ. 3:18.
4. ღმერთ-კაცები, რომლებიც გამოხატავენ ღმერთს, არიან ღმერთის წარმომადგენელი და მათ აქვთ ძალაუფლება ღმერთისა ყველაფერზე – დაბ. 1:27-28.

III. ქრისტეს განკაცებამ, განსხეულებამ და გამოხატულებამ სამერთიანი ღმერთისა, წარმოქმნა ღმერთ-კაცი – ლუკა 1:31-32ა; იოანე 1:1, 14, 18, 51:

ა. ლუკას სახარება წარმოადგენს გამოცხადებას ღმერთ-კაცზე, რომელიც ცხოვრობდა ადამიანური ცხოვრებით, რომელიც სავსე იყო ღვთაებრივი სიცოცხლით როგორც შემადგენლობით – 1:35, 2:7-16, 34-35, 40, 49, 52.

ბ. ქრისტეში ღმერთი და ადამიანი გახდნენ ერთი მთლიანი, ღმერთ-კაცი – 1:35; იოანე 1:14; მათე 1:18, 20-23:

1. ვინაიდან უფალი იესო იყო ჩასახული ღვთაებრივი არსისაგან და დაიბადა ადამიანური არსისაგან, ის დაიბადა ღმერკაცად; ამგვარად, ის, რაც შეეხება მის არსებას, მას როგორც ღმერთკაცს ჰქონდა ორი არსი – ღვთაებრივი არსი და ადამიანური არსი – მუხ. 18.
2. ჩასახვა წმიდა სულისაგან ადამიან ქალწულში წარმოადგენს ღვთაებრივი ბუნების შერწყმას ადამიანურთან, რამაც შედეგად წარმოქმნა ღმერთ-კაცი, ის, ვინც არის სრული ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი – ლუკა 1:35.
3. როგორც სრულყოფილ ადამიანს და სრულ ღმერთს, ღმერთ-კაცს გააჩნია ადამიანური ბუნება მის სათნოებებთან ერთად, რომელშიც არის ღმერთი და გამოხატავს ღმერთს მის ღვთაებრივ თვისებებთან ერთად.

გ. როგორც ღმერთ-კაცი, უფალი იესო ცხოვრობდა დედამიწაზე არა თავისი ადამიანური სიცოცხლის მეშვეობით, არამედ ღვთაებრივი სიცოცხლის მეშვეობით – იოანე 5:18-19, 30; 6:57ა:

1. როდესაც უფალი იესო იყო დედამიწაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ადამიანი, ის ცხოვრობდა ღმერთის მეშვეობით – მუხ. 57ა; 5:19, 30; 6:38; 8:28; 7:16-18:
   ა) უფალი იესო ცხოვრობდა ღმერთს და გამოხატავდა ღმერთს ყველაფერში; როდესაც ის რაღაცას აკეთებდა, ამას აკეთებდა ღმერთი მისგან და მისი მეშვეობით – 14:10.
   ბ) უფალი იესო ცხოვრობდა როგორც ღმერთ-კაცი ღმერთის სიცოცხლის მეშვეობით, და არა ადამიანის სიცოცხლის მეშვეობით – 6:57ა.
   გ) მისი ადამიანური ცხოვრება ხორციელდებოდა არა ადამიანური სიცოცხლის მეშვეობით, არამედ ღვთაებრივი სიცოცხლის მეშვეობით – 1:4; 11:25; 14:6.
2. ვინაიდან უფალი იესო ყოველთვის ცხოვრობდა ისე, რომ უარს ამბობდა თავის ადამიანურ სიცოცხლეზე, ანუ ყოველთვის ათავსებდა თავის თავს ჯვრის ქვეშ, მისი ადამიანური ცხოვრება გამოხატავდა არა ადამიანობას, არამედ ღვთაებრიობას ღვთაებრივ თვისებებში, რომლებიც ხდებოდა ადამიანური სათნოებები – მათე 16:21, 24.
3. თავისი ცხოვრების განმავლობაში დედამიწაზე ის უარს ამბობდა თავის თავზე და იღებდა ჯვარს, რათა ეცხოვრა ღმერთი იმ მიზნით, რომ გამოეხატა ღმერთი მის ღვთაებრივ თვისებებში, რომლებიც ხდება ადამიანური სათნოებები; ასეთი იყო პირველი ღმერთკაცის როგორც „საცდელი ნიმუშის“ ცხოვრება – ლუკა 1:31-32ა; 7:11-16; 10:25-37; 13:10-16; რომ. 8:3, 29.

IV. თავიდან ბიბლიაში საუბარია ერთ ღმერთ-კაცზე; თავისი აღდგომის მეშვეობით ეს ღმერთ-კაცი ხელახლაწარმოქნა როგორც მრავალი ღმერთ-კაცი – რომ. 1:3-4; 8:29; ებრ. 2:10:

ა. უფალი იესო, პირველი ღმერთ-კაცი, არის „საცდელი ნიმუში“, თავისი ხელახლაწარმოქნის, მრავალი ღმერთკაცის წარმოსაქმნელად – 1 პეტ. 2:21.

ბ. ღმერთი გახდა ადამიანი, რათა მიეღო „სერიული კვლავწარმოქნა“ თავისი თავის და ამის მეშვეობით წარმოექმნა ახალი მოდგმა; ეს ახალი მოდგმა არის ღმერთკაცების მოდგმა – რომ. 8:3, 29; ებრ. 2:10.

გ. უფალი იესო, ღმერთ-კაცი, იყო ხორბლის მარცვალი, რომელიც ჩავარდა მიწაში, რათა წარმოექმნა მრავალი მარცვალი როგორც თავისი კვლავწარმოქმნა – იოანე 12:24:
   1. პირველი მარცვალი – პირველი ღმერთ-კაცი – იყო „საცდელი ნიმუში“, ხოლო მრავალი მარცვალი – მრავალი ღმერთ-კაცი, – წარმოქმნილები ამ ერთი მარცვლით სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით, არიან პირველი ღმერთკაცის ხელახლაწარმოქმნა.
   2. მრავალი მარცვალი როგორც მრავალი ღმერთკაცი არის ღმერთის ხელახლაწარმოქმნა; ასეთი ხელახლაწარმოქმნა ხდის ღმერთს ბედნიერს, რადგან მისი ხელახლაწარმოქმნა ჰგავს მას, ლაპარაკობს მის მსგავსად და ცხოვრობს მის მსგავსად – 1 იოანე 2:6; 3:2; 4:17ბ.

დ. პირველი ნაბიჯი ღმერთკაცის წარმოქმნაში არის ის, რომ ჩვენ უნდა დავიბადოთ თავიდან პნევმატური ქრისტესაგან ჩვენს სულში მისი ღვთაებრივი სიცოცხლითა და ბუნებით – იოანე 3:3, 6.

ე. ღმერთკაცის ხელახლაწარმოქნისათვის ჩვენ უნდა გარდავისახოთ პნევმატური ქრისტეს მიერ ჩვენს სამშვინველში, ისე რომ მისმა ღვთაებრივმა თვისებებმა აამაღლოს, განამტკიცოს, გაამდიდროს და აავსოს ჩვენი ადამიანური სათნოებები მისი გამოხატულებისათვის ჩვენს ადამიანობაში – 2 კორ. 3:17-18; რომ. 12:2.

ვ. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენ ვართ ღმერთ-კაცები, დაბადებულნი ღმერთისაგან, რომლებსაც გვაქვს სიცოცხლე და ბუნება ღმერთისა და ვეკუთვნით ღმერთის ბიოლოგიურ სახეობას – იოანე 1:12-13:

1. როგორც ღმერთის შვილები, დაბადებულნი ღმერთისაგან ღვთაებრივი სიცოცხლით, ჩვენ ვართ ღმერთკაცები, ღვთაებრივი პიროვნებები; ჩვენ ვართ ისეთივე, როგორიც ის, ვისგანაც ჩვენ დავიბადეთ – 1 ოანე 3:1; 5:1.
2. ვინაიდან ჩვენ დავიბადეთ ღმერთისაგან, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში – იოანე 1:12-13; რომ. 8:16; 2 პეტ. 1:4.
3. როდესაც ჩვენ ვთვლით ჩვენს თავს ღმერთ-კაცად და ვიცით და ვაცნობიერებთ, ვინ ვართ ჩვენ, ეს ძირფესვიანად გვცვლის ჩვენ ჩვენს ყოველდღიურ განცდებში – 1 იოანე 2:20; 3:1-2; 5:13, 20.
4. ჩვენ უბრალოდ ქრისტიანები და მორწმუნეები ქრისტეში კი არ ვართ; ჩვენ ვართ ღმერთ-კაცები, ღმერთ-კაცების მოდგმა, ღმერთის კვლავწარმოქმნა – იოანე 12:24; რომ. 8:16, 29; ებრ. 2:10-11.

V. ქრისტეს ღმერთკაცურმა ცხოვრებამ გახადა ის შემადგენლობით „საცდელი ნიმუში“, რათა ის ყოფილიყო ხელახლაწარმოქნილი ჩვენში და ისევ ეცხოვრა ჩვენში, ღმერთ-კაცებში – იოანე 14:19; გალ. 2:20:

ა. ჩვენ როგორც ღმერთკაცის ხელახლაწარმოქმნა უნდა ვიცხოვროთ ღმერთკაცის ცხოვრებით – ფილიპ. 1:19-21ა; 3:10.

ბ. ქრისტეს როგორც ადამიანის ცხოვრება იყო ის, რომ ადამიანი ცხოვრობდა ღმერთს, გამოხატავდა ღმერთის თვისებებს ადამიანურ სათნოებებში; მისი ადამიანური სათნოებები იყო ავსებული, შერწყმული და გაჟღენთილი ღვთაებრივი თვისებებით – ლუკა 1:26-35; 7:11-17; 10:25-37; 19:1-10.

გ. როგორც პირველი ღმერთკაცის გაფართოებამ, გადიდებამ, ხელახლაწარმოქმნამ და გაგრძელებამ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისეთივე სიცოცხლით, როგორი სიცოცხლითაც ცხოვრობდა ის – 1 იოანე 2:6:

1. უფლის ღმერთკაცურმა ცხოვრებამ დაადგინა ნიმუში ჩვენი ღმერთკაცური ცხოვრებისათვის – ვიყოთ ჯვარცმულები, რათა ვიცხოვროთ იმისათვის, რომ ღმერთი გამოიხატებოდეს ადამიანობაში – გალ. 2:20.

2. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჩვენს თავზე, დავემსგავსოთ ქრისტეს სიკვდილს და განვადიდოთ ქრისტე მისი სულის უხვი შეწევნის მეშვეობით – მათე 16:24; ფილიპ. 3:10; 1:19-21ა.
3. ჩვენ უნდა უარვყოთ ჩვენი მეს განვითარება და მსჯავრი დავდოთ ჩვენი ბუნებერივი ადამიანის აშენებას; ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტიანული სათნოენები არსებითად დაკავშირებულია ღვთაებრივ სიცოცხლესთან, ღვთაებრივ ბუნებასთან და თვით ღმერთთან – გალ. 5:22-23.
4. ის, ვინც ცხოვრობდა ღმერთკაცის ცხოვრებით, არის ახლა სული, რომელიც ცხოვრობს ჩვენში და ჩვენი მეშვეობით; ჩვენ არ უნდა მივცეთ ნება არაფერს, მის გარდა, რომ აგვავსოს ჩვენ და დაგვიკავოს ჩვენ – 2 კორ. 3:17; 13:5; ეფეს. 3:16-19.

დ. ქრისტე ფილიპ. 1:21ა-ში – არის ღმერთკაცი ფილიპ. 2:5-8-ში; აქედან გამომდინარე, ვიცხოვროთ ქრისტე – ნიშნავს ვიცხოვროთ ღმერთ-კაცი იესო ქრისტეს სულის უხვი შეწევნის მეშვეობით – 1:19.

ე. როდესაც ჩვენ ვეხსნებით უფალს, გვიყვარს ის და გვინდა, რომ შევუერთდეთ მას როგორც ერთი, ის გვავსებს ჩვენ და გვიპყრობს ჩვენ და ჩვენ ვავლენთ ჩვენი ცხოვრებით ღვთაებრიობის დიდებას და ადამიანობის სათნოებებს – 1 კორ. 2:9; 6:17; ფილიპ. 4:4-9.

კვირა 5 – დღე 1

დილის საკვები

რჯლ. 1:22	**აჰა, გაძლევს იეჰოვა, შენი ღმერთი, ამ მიწას; ადექი და დაეუფლე მას, როგორც გითხრა იეჰოვამ, შენი მამების ღმერთმა. ნუ შეშინდები და ნუ შეძრწუნდები.**
ლუკა 6:36	**იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე.**
1 პეტ.	**ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე“.**

1:16	

აუცილებელია, რომ ღმერთის ხალხმა უპასუხოს ღმერთს თავისი სიყვარულით, ღმერთის სამთავრობო მმართველობის თანახმად. მემკვიდრეები უნდა ყოფილიყვნენ იმის შესაბამისი, ვინც მემკვიდრეობას აძლევდა მათ, რათა ის ყოფილიყო მათთან როგორც მათ ცხოვრებაში, ასევე მათ ბრძოლაში. ეს არის არა კანონის მოთხოვნა, არამედ არის პირობა, რომელიც მოითხოვს, რომ ღმერთის ხალხი შეესაბამებოდეს იმას, როგორიც არის ღმერთი. ღმერთი გაწმიდანებულია, და ჩვენც უნდა ვიყოთ გაწმიდანებული. იმისათვის, რომ შევესაბამებოდეთ მას, ვინც გვაძლევს მემკვიდრეობას, ჩვენ უნდა ვიყოთ წმიდები, ისეთივე წმიდები, როგორიც არის ღმერთი. თუ ჩვენ არ ვიქნებით ღმერთის შესაბამისი, ღმერთი შეიძლება იყოს ჩვენთან ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ის ვერ იქნება ჩვენთან ჩვენს ბრძოლაში („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 18-19).

დღეს წასაკითხი

სიტყვა „წმიდა“ ბიბლიაში არ უნდა გავიგოთ ჩვენი ბუნებრივი წარმოდგენის თანახმად. ზოგიერთებს მიაჩნით, რომ სიწმინდე არის უცოდველობა. ამ წარმოდგენის თანახმად, ადამიანი წმიდაა, თუ ის არ სცოდავს. ეს წარმოდგენა აბსოლუტურად მცდარია. სიწმიდე არ არის უცოდველობა და სრულყოფილება. სიტყვა „წმიდა“ ნიშნავს არა მარტო „გაწმიდანებულს, გამოყოფილს ღმერთისათვის“, არამედ ნიშნავს „ყოველივე ჩვეულებრივისაგან განსხვავებულსაც, გამორჩეულსაც“. თავისი ბუნებით მხოლოდ ღმერთი გამოირჩევა, ანუ გამოიყოფა ყოველივე დანარჩენისაგან. ამიტომ ის არის წმიდა; სიწმინდე არის ღმერთის ბუნების გამორჩეული ნიშანი, ღმერთის ერთ-ერთი თვისებათაგანი.

ვიყოთ წმიდა, ნიშნავს, რომ ვიყოთ ღმერთისათვის გამოყოფილი იმ ყველაფრისაგან, რაც არ არის ღმერთი. ეს ასევე ნიშნავს, რომ ვიყოთ გამორჩეული, განსხვავებული იმ ყველაფრისაგან რაც არ არის ღმერთი. ამიტომ ჩვენ ვხდებით არა ჩვეულებრივები, არამედ გამორჩეულები ყოველივე დანარჩენისაგან. მთელ სამყაროში მხოლოდ ღმერთი არის წმიდა. ის განსხვავდება ყოველივე დანარჩენისაგან და გამოირჩევა ყველაფერს შორის. ამიტომ, ვიყოთ წმიდა, ნიშნავს, რომ ვიყოთ ერთი ღმერთთან მის განსხვავებულობაში. თქვენ შეიძლება იყოთ უცოდველები და სრულყოფილები, მაგრამ თუ თქვენ არა ხართ ერთი ღმერთთან, თქვენ არა ხართ წმიდა. როდესაც ღმერთი შემოდის ჩვენში, ჩვენ ვხდებით წმიდა. როდესაც ჩვენ შევდივართ ღმერთში, ვხდებით უფრო წმიდები. ხოლო როდესაც ჩვენ ვერწყმით ღმერთს, ჩვენ ვხდებით უმაღლეს დონეზე წმიდები. ჩვენ ვხდებით წმიდები იმის წყალობით, რომ ღმერთი არის ჩვენში; ჩვენ ვხდებით უფრო წმიდები იმის წყალობით, რომ ვართ ღმერთში, და ჩვენ ვხდებით უმაღლეს დონეზე წმიდები იმის წყალობით, რომ ვერწყმით ღმერთს, ვიმსჭვალებით და ვიჟღინთებით მისით. საბოლოოდ ეს მიგვიყვანს ახალ იერუსალიმამდე, რომელსაც ეწოდება წმიდა ქალაქი (გამოცხ. 21:2, 10), ქალაქი, რომელიც უბრალოდ კი არ ეკუთვნის ღმერთს და განკუთვნილია ღმერთისათვის, არამედ სავსეა ღმერთით, გაჟღენთილია ღმერთით და ერთია ღმერთთან; ეს არის

რაღაც, რაც წმიდაა, გაწმიდანებულია ღმერთის მეშვეობით („დასკვნითი შეტყობინებები ახალი აღთქმის თანახმად“, გვ. 94-95).

მეორე რჯულში ნათქვამი ავსებს რიცხვნის წიგნს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, რათა დაიმკვიდროს დაპირებული მიწა, როგორც კეთილი მიწა. მას უნდა უყვარდეს ღმერთი, ეშინოდეს ღმერთის, ემორჩილებოდეს ღმერთის მმართველობას, ახსოვდეს ღმერთის ნაზი გრძნობების შესახებ და იცხოვროს ღმერთის თანდასწრებაში. ახალ აღთქმაში მოქმედებს იგივე პრინციპი: ღმერთისმიერი გადარჩენა უპირობოა, მაგრამ ქრისტეს სიმდიდრით ტკბობა დაკავშირებულია კონკრეტულ პირობებთან – ის დამოკიდებულია იმაზე, უყვარს თუ არა ადამიანს მხოლოდ ქრისტე. ამიტომ სწავლება მეორე რჯულში ზუსტად ისეთივეა, როგორიც ახალ აღთქმაში. ამ სწავლებაში გამოყენებულია სხვა გამოთქმები, მაგრამ სწავლების არსი იგივეა.

როდესაც ჩვენ ვისმენთ იმის შესახებ, თუ როგორი ადამიანები უნდა ვიყოთ, რომ დავიმკვიდროთ კეთილი მიწა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არ გამოგვივა. თუ ჩვენ ასე ვფიქრობთ, გვჭირდება შეხსენება იმის შესახებ, რომ მეორე რჯული არის წიგნი, რომელიც სავსეა სიტყვით, ანუ ქრისტეთი. ქრისტე, როგორც სიტყვა, არის ის, ვინც გვეხმარება ჩვენ და გვხდის ჩვენ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ ღმერთი, ეშინიათ ღმერთის, ემორჩილებიან ღმერთის მმართველობას, ახსოვთ ღმერთის ნაზი გრძნობების შესახებ და ცხოვრობენ ღმერთის თანდასწრებაში. თუ ჩვენ გვექნება დილის გამოფხიზლება წმიდა სიტყვის მეშვეობით და თუ ასევე სიტყვის მეშვეობით ჩვენ ყოველდღიურად გავიმარჯვებთ, მაშინ გავხდებით ისინი, ვისაც აქვს უფლება, რომ დაიმკვიდროს კეთილი მიწა („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 17-18).

კვირა 5 – დღე 2

დილის საკვები

მათე 19:26	**შეხედა მათ იესომ და უთხრა: „ადამიანებისათვის ეს შეუძლებელია, ღმერთისთვის კი ყველაფერი შესაძლებელია“.**
იოანე 15:5	**მე ვარ ვაზი, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, ის ბევრ ნაყოფს გამოიღებს; რადგან არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.**
1 იოანე 5:13	**ეს მოგწერეთ რათა იცოდეთ, რომ გაქვთ მარადიული სიცოცხლე მათ, ვისაც გწამთ ღმერთის ძის სახელი.**

ყოველთვის, როდესაც უფალი გვთხოვს რაღაცის გაკეთებას მისთვის, ის არ გულისხმობს, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს დამოუკიდებლად... საკუთარი ენერგიით ღმერთის მცნებების დაცვა არის შეურაცხყოფა ღმერთისათვის; ეს საზიზღრობაა ღმერთის თვალში. თუ ჩვენ შევეცდებით ამის გაკეთებას, უფალმა, შესაძლოა, თქვას: „მე არ გთხოვ შენ რაღაცის გაკეთებას ჩემთვის შენი ძალის ან შესაძლებლობის დახმარებით, ვინაიდან შენ არა გაქვს არც ძალა, და არც შესაძლებლობა. როდესაც მე გთხოვ რაღაცის გაკეთებას ჩემთვის, მინდა, რომ ეს გააკეთო ჩემი დახმარებით. ისწავლე, რომ გწამდეს ჩემი, მომენდო მე. მე ყველაფერს გავაკეთებ შენთვის. მე უბრალოდ ის მინდა, რომ შენ მონაწილეობა მიიღო ჩემს ქმედებაში. მე მინდა, რომ რაღაც გავაკეთო ადამიანში და ადამიანთან ერთად... თუ შენ ითანამშრომლებ ჩემთან, მე შევძლებ იმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც მინდა“. თუ ჩვენ ვაკეთებთ რაღაცას უფლისათვის არა დამოუკიდებლად, არამედ უფლის დახმარებით, ეს მას მოსწონს („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 176).

დღეს წასაკითხი

ჩვენში ღრმად არის ერთი მანკიერი რამ. ეს მანკიერი რამ, რაც შეიძლება ძალიან კარგი რამ გვეგონოს, არის ჩვენი სურვილი, რომ დამოუკიდებლად შევასრულოთ ღმერთის ნება და განვახორციელოთ ღმერთის ნება. ღმერთის თვალში ეს სურვილი, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქოს მშვენიერია, სინამდვილეში ამაზრზენად გამოიყურება. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ თვითონ შეგვიძლია რაღაცის გაკეთება ღმერთისათვის. ჩვენ ვერ გავაკეთებთ ღმერთისათვის რაღაცას ჩვენ თვითონ. ჩვენ გვჭირდება სხვა სიცოცხლე – ღვთაებრივი სიცოცხლე, ღმერთის სიცოცხლე. იმისათვის, რომ მივიღოთ ეს სიცოცხლე, ჩვენ უნდა ვიშვათ ახლიდან, უნდა ვიშვათ ხელახლა, ანუ უნდა ვიშვათ ღმერთისაგან. ჩვენი შექმნილი სიცოცხლის დახმარებით ვერ შევასრულებთ იმას, რასაც ითხოვს ღმერთი; ჩვენ არა გვაქვს იმის უნარი, რომ აღვასრულოთ ღმერთის ნება. მაშინაც კი, თუ ჩვენ ნათელი გონება გვაქვს, გაწონასწორებული სიყვარული და ძლიერი ნება, მაინც არა გვაქვს იმის უნარი, რომ დავიცვათ ღმერთის მცნება, ანუ აღვასრულოთ ღმერთის ნება.

ღმერთის სურვილია, რომ ჩვენ გამოვხატოთ ის. მაგრამ შეგვიძლია, რომ ჩვენ დამოუკიდებლად და საკუთარი თავის დახმარებით გამოვხატოთ ღმერთი? რა თქმა უნდა, არა! როგორც ძაღლი ვერ გამოხატავს ფრინველს, ასევე ჩვენც ჩვენი შექმნილი სიცოცხლით ვერ გამოვხატავთ ღმერთს. იმისათვის, რომ გამოვხატოთ ღმერთი, ჩვენ უნდა გვქონდეს ღმერთის სიცოცხლე. ეს არის ღვთაებრივი სიცოცხლე, მარადიული სიცოცხლე. სინამდვილეში, ეს სიცოცხლე არის სამერთიანი ღმერთი, განსხეულებული ქრისტეში, რომელიც სინამდვილე ხდება ჩვენთვის როგორც მაცოცხლებელი სული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მივიღეთ ღვთაებრივი სიცოცხლე, ჩვენ არა ვართ მიჩვეული იმას, რომ ვიცოცხლოთ ამ სიცოცხლით. შესაძლოა, ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია იმაზე, რომ გვეცხოვრა ღვთაებრივი სიცოცხლით. ნაცვლად ამისა ჩვენ კვლავ დაიმედებული ვართ ჩვენს ძველ სიცოცხლეზე. ჩვენ შეიძლება ვლოცულობთ კიდეც ამ ძველი სიცოცხლის სრულყოფაზე. ჩვენს ლოცვაში ჩვენ ვამბობთ: „უფალო, შენ იცი, როგორი სუსტი ვარ“. უფალმა შეიძლება ასე გიპასუხოთ: „არ არის საჭირო,

ჩემთვის იმის თქმა, რომ შენ სუსტი ხარ. მე ვიცი, რომ სუსტი ხარ. შენ არა მარტო სუსტი ხარ, შენ ხარ მკვდარი. სწორედ ამიტომ მოგეცი ახალი სიცოცხლე. რატომ არ ცხოვრობ იმ ახალი სიცოცხლით, რომელიც მოგეცი?"

მე არა ვარ დარწმუნებული, რომ რომელიმე ჩვენგანს, ჩემი ჩათვლით, შეუძლია ამ ღვთაებრივი სიცოცხლით ცხოვრება... შესაძლოა, ჩვენთვის ნათელია, რომ მეორე რჯულში გამოვლენილია ღმერთი, მხილებული ვართ ჩვენ და გახსნილია ქრისტე, როგორც ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სასიცოცხლო შეწევნა და ყველაფერი ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ არ ვიყენებთ ამ ცოდნას პრაქტიკულად. ნაცვლად იმისა, რომ ვიცხოვროთ ღვთაებრივი სიცოცხლით, ჩვენ ვბრუნდებით ძველი სიცოცხლისაკენ და ვთხოვთ უფალ იესოს, რომ დაგვეხმაროს საკუთარი თავის სრულყოფაში.

როდესაც ვასრულებთ ღმერთის მოთხოვნებს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიყოთ საკუთარ თავზე დაიმედებული. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ უფლის სურვილი ისე მივიღოთ, როგორც საკუთარი სურვილი, და უნდა ვთქვათ: „უფალო, მე ის მინდა, რაც შენ გინდა. როდესაც ვასრულებ შენს სურვილს, მე არაფერში არა ვარ დაიმედებული საკუთარ თავზე, ვინაიდან მე არ შემიძლია შენი ნების შესრულება. უფალო, ვინაიდან მე არა ვარ დაიმედებული საკუთარ თავზე და არა მაქვს უნარი, რომ შევასრულო შენი სურვილი, მე გიღებ შენ როგორც ჩემს სიცოცხლესა და სასიცოცხლო შეწევნას" („რიცხვნის სიცოცხლის შესწავლა", გვ. 176).

კვირა 5 – დღე 3

დილის საკვები

მათე 7:21	**ყველა, ვინც მეუბნება: „უფალო! უფალო!" – ვერ შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას.**
იოანე 3:15	**...რათა ყველას, ვისაც ის სწამს, მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს.**
ფილიპ. 4:13	**ყველაფერი შემიძლია მასში, ვინც მაძლევს ძალას**

თავის სახლმშენებლობაში ღმერთმა დაგეგმა, რომ ადამიანს გაეკეთებინა ყველაფერი, რასაც ღმერთი მოითხოვდა მისგან; მაგრამ ღმერთს არ უნდა, რომ ადამიანმა ეს ყველაფერი თვითონ გააკეთოს; მას სურს, რომ ადამიანმა ეს გააკეთოს

ქრისტეთი, ქრისტეში, ქრისტესთან ერთად, ქრისტეს მეშვეობით და ქრისტესთან ერთმა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ სულიერ კავშირში, ორგანულ კავშირში ქრისტესთან. იმისათვის, რომ ჩვენ შევიდეთ ასეთ კავშირში ქრისტესთან, ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვირწმუნოთ ქრისტეში, ანუ როდესაც ვირწმუნებთ ქრისტეში, შევიდეთ მასში (იოანე 3:15, 16, 18). ქრისტეში შესვლა, მასში რწმუნების მეშვეობით, ნიშნავს, რომ მოვიპოვოთ ორგანული კავშირი ქრისტესთან, გავხდეთ ერთი სული მასთან (1 კორ. 6:17ბ). ამ კავშირში ჩვენ შეერთებული ვართ ქრისტესთან, ჩვენ ერთი ვართ ქრისტესთან და ჩვენ ვართ ქრისტეში. და ახლა, ვინაიდან ჩვენ ერთი ვართ მასთან და ჩვენ ვართ მასში, ყველაფერი, რასაც მოითხოვს ღმერთი, უნდა გავაკეთოთ ქრისტეთი და ქრისტეს მეშვეობით. ჩვენ უკვე აღარ უნდა ვიცხოვროთ დამოუკიდებლად და გავაკეთოთ რაღაც ჩვენით; ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ქრისტეთი და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ქრისტეთი („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 46).

დღეს წასაკითხი

ვინაიდან პავლეს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული ეს, მას შეეძლო განეცხადებინა: „მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული; და უკვე მე აღარ ვცოცხლობ, არმედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ [გალ. 2:20]. აქ პავლე გულისხმობს, შემდეგ რაღაცას: „მე მოვკვდი ქრისტეში მისი სიკვდილის მეშვეობით, მაგრამ ახლა ის ცხოვრობს ჩემში თავისი აღდგომის მეშვეობით. ის ცხოვრობს ჩემში მხოლოდ იმის წყალობით, რომ არის მაცოცხლებელი სული“... ჩვენ ყველამ უნდა მოვიპოვოთ გალ. 2:20-ში ნათქვამის სინამდვილე, და უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთის სურვილი არ არის, რომ ჩვენ ვიცხოვროთ მისთვის დამოუკიდებლად, არამედ მისი სურვილია, რომ ჩვენ ვიცხოვროთ მისთვის ქრისტეთი, ქრისტეში, ქრისტესთან ერთად, ქრისტეს მეშვეობით და ქრისტესთან ერთმა.

მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, არის ის, რომ ღმერთის სურვილია, რომ ჩვენ ვიცხოვროთ, ვიმოქმედოთ, მოვიქცეთ, ვიმუშაოთ და ვიარსებოთ ქრისტეში, ქრისტეთი, ქრისტესთან ერთად, ქრისტეს მეშვეობით და ქრისტესთან ერთმა.

უფლის ყველა მსახური უნდა შეესაბამებოდეს უფალს. მაგრამ ჩვენს თავში და ჩვენ თვითონ ვერც უფლის შესაბამისი ვიქნებით და ვერც ვემსახურებით მას. ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ამის გაკეთების უნარი. ჩვენ არაფერს არ წარმოვადგენთ, ჩვენ არაფერი არა გვაქვს და არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. როგორ შეგვიძლია, რომ ვიყოთ ღმერთის შესაბამისი ან ვემსახუროთ ღმერთს? რაც შეგვეხება ჩვენ, ეს შეუძლებელია, მაგრამ ეს შესაძლებელია სამერთიანი ღმერთის მეშვეობით, რომელიც განსხეულებულია ძეში, რომელიც ხდება ნამდვილი, როგორც სული. ეს სული ყველგანაა, მაგრამ ამასთანავე ის განსხეულებულია ბიბლიაში, რისი წყალობითაც ჩვენ შეგვიძლია ჩავისუნთქოთ ის, რათა ყველაფერი გავაკეთოთ ქრისტეში და ქრისტეთი.

ჩვენ არ უნდა შევეცადოთ, რომ დამოუკიდებლად გავაკეთოთ რაღაც ღმერთისათვის. პირიქით, ჩვენ უნდა შევიძულოთ და უნდა უარვყოთ საკუთარი მცდელობები, რომ ვემსახურით ღმერთს და შევესაბამებოდეთ მას, ვინაიდან,

სინამდვილეში, ეს საზიზღრობაა ღმერთის თავალში. დიახ, ღმერთის სურვილია, რომ ჩვენ განვახორციელოთ მისი სახლმშენებლობა, მაგრამ მას არ სურს, რომ ჩვენ ეს გავაკეთოთ დამოუკიდებლად. ღმერთს უნდა, რომ ჩვენ გვერდზე გადავწიოთ ჩვენი თავი, დავივიწყოთ ჩვენი თავი და განვახორციელოთ მისი სახლმშენებლობა სულით, ანუ ძის სინამდვილით, რომელიც არის მამის განსხეულება. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, ვიმოქმედოთ, მოვიქცეთ, ვიმუშაოთ და ვიარსებოთ თვით ქრისტეთი, რომელიც არის მაცოცხლებელი სული. მაშინ უკვე ჩვენ აღარ ვიცხოვრებთ, არამედ ქრისტე იცხოვრებს ჩვენში.

რომ. 10:8-ში პავლე ამბობს: „რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ“. ეს რწმენის სიტყვა მოიცავს სიტყვას იმის შესახებ, რომ აუცილებელია მოვინანიოთ, დავუბრუნდეთ ღმერთს, ჩავეჭიდოთ ღმერთს და ვირწმუნოთ სამერთიანი ღმერთი, რათა მოვიპოვოთ ორგანული კავშირი მასთან და ვიცხოვროთ როგორც ერთმა მასთან ერთად. თქვენ ცხოვრობთ? თქვენ სჩადიხართ რაღაც საქციელს? თქვენ მუშაობთ? ამ კითხვებზე ჩვენ უნდა შეგვეძლოს ასე ვუპასუხოთ: „დიახ, მე ვცხოვრობ, ჩავდივარ რაღაც საქციელს და ვმუშაობ, მაგრამ ამას ვაკეთებ არა დამოუკიდებლად, არამედ ქრისტეში და ქრისტეთი. მე ვცხოვრობ სამერთიან ღმერთთან ორგანულ კავშირში“. ასეთია ქრისტიანული ცხოვრება, ასეთია ეკლესიური ცხოვრება, ანუ სხეული, და საბოლოოდ ასეთი იქნება ჩვენი ცხოვრება მარადიულად ახალ იერუსალიმში. ქრისტიანულ ცხოვრებასა და ეკლესიურ ცხოვრებაში უკვე ჩვენ აღარ ვცხოვრობთ, არამედ ქრისტე ცხოვრობს ჩვენში („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, 46, 49-50).

კვირა 5 – დღე 4

დილის საკვები

რჯლ. 6:5	**და შეიყვარე იეჰოვა, შენი ღმერთი, მთელი შენი გულით, და მთელი შენი სამშვინველით, და მთელი შენი ძალით.**
10:12	**და ახლა, ისრაელ, რას ითხოვს შენგან იეჰოვა, შენი ღმერთი? თუ არა იმას, რომ გეშინოდეს იეჰოვასი, შენი ღმერთისა, რათა იარო მისი გზებით, და გიყვარდეს ის, და ემსახურო იეჰოვას, შენს ღმერთს, მთელი შენი გულითა და მთელი შენი სამშვინველით.**

გვიყვარდეს ღმერთი, ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი არსება – სული, სამშვინველი და სხეული, გულის, სამშვინველის, გონებისა და ძალის ჩათვლით (მარკ. 12:30), – მთლიანად შემოვაბრუნოთ ღმერთისაკენ, ისე რომ მთელი ჩვენი არსება დაკავებული აღმოჩნდეს ღმერთით და დაიკარგოს ღმერთში; ამ შემთხვევაში ის ხდება ჩვენთვის ყველაფერი და ჩვენ ერთი ვართ მასთან პრაქტიკულად და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამრიგად, ჩვენსა და ღმერთს შორის წარმოიქმნება განსაკუთრებით

მჭიდრო და ახლო ურთიერთობა, და ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ მის გულში და ჩავწვდეთ მის ყველა საიდუმლოს (ფსალ. 73:25; 25:14). ასე ჩვენ არა მარტო გავაცნობიერებთ ღმერთის სიღრმეებსა და საიდუმლოებებს, არამედ ასევე განვიცდით მათ, ვტკბებით მათით და მთლიანად ვმონაწილეობთ მათში („კორინთელთა მიმართ პირველი წერილის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 175).

დღეს წასაკითხი

მოსე ამბობს [რჯლ. 10:12-ში], რომ უნდა გვეშინოდეს ღმერთის. ჩვენ ყველას უნდა გვქონდეს სათანადო შიში ღმერთის წინაშე. მაგრამ დღეს იქმნება შთაბეჭდილება, რომ მრავალ ადამიანს, როდესაც ამტკიცებს, რომ თავისუფალია, არ ეშინია არავისი და არაფრის, ღმერთის ჩათვლით. შიშის ასეთი არარსებობა საშინელებაა; ეს არის ყოველგვარი უკანონობის სათავე. ახალგაზრდა ადამიანები უნდა აღიარებდნენ, რომ ღმერთის დადგენილების თანახმად, ოჯახში, საზოგადოებასა და ეკლესიაში არსებობს ძალაუფლება. ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ, ჩვენ ყველას უნდა გვეშინოდეს ღმერთის. ის თვალყურს გვადევნებს ჩვენ და იცის, სადა ვართ და რას ვაკეთებთ. საბოლოოდ ჩვენ მოვიმკით მოსავალს იმისგან, რასაც დავთესავთ, და შევჭამთ ამ მოსავლის ნაყოფებს.

როდესაც ჩვენ გვეშინია ღმერთის, ჩვენ დავდივართ მისი გზებით. ღმერთის გზები, სინამდვილეში, არის ის, რასაც წარმოადგენს ღმერთი. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რასაც წარმოადგენს ღმერთი, არის გზა ჩვენთვის. ღმერთი არის სიყვარული, და ეს სიყვარული არის გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ. ღმერთს „უყვარს ხიზანი, აპურებს და მოსავს მას. ამიტომ გიყვარდეთ ხიზანი, ვინაიდან თქვენც ხიზნები იყავით ეგვიპტის მიწაზე (მუხ. 18ბ-19). ღმერთის ერთ-ერთი გზა არის სიყვარული ხიზნების მიმართ, და ჩვენ უნდა ვიაროთ ღმერთის ამ გზით. მრავალი ხიზანი არის ღარიბი ადამიანი; ისინი განიცდიან საკვებისა და ტანსაცმლის ნაკლებობას. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისინი და უნდა მივცეთ მათ ის, რაც სჭირდებათ. ღმერთი ასევე არის წმიდა, და მისი სიწმიდე არის კიდევ ერთი გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ. გარდა ამისა, ღმერთი „მიუკერძოებელია და ქრთამს არ იღებს“ (მუხ. 17ბ), და ჩვენ უნდა მივიღოთ ეს როგორც გზა და არ უნდა ვიყოთ მიკერძოებულები და არ უნდა ავიღოთ ქრთამი. ღმერთი ასევე „სამართალს უჩენს ობოლსა და ქვრივს“ (მუხ. 18ა), და ჩვენ უნდა ვიაროთ ღმერთის მართლმსაჯულების გზით.

რჯლ. 10:12-ში მოსემ ასევე უთხრა ხალხს, რომ ჰყვარებოდათ ღმერთი. სიტყვა „სიყვარული“ გულისხმობს ძალიან ბევრ რამეს. მაგალითად, ის გულისხმობს ნაზ გრძნობებს, და ეს რაღაც ძალიან სათუთია. ღმერთმა თავად დაგვანახვა სიყვარულის მაგალითი, როდესაც თავისი ნაზი გრძნობები მიაპყრო თავისი ხალხისაკენ. მოსე ლაპარაკობს ამის შესახებ მე-14 და მე-15 მუხლებში: „აჰა, იეჰოვას, შენს ღმერთს, ეკუთვნის ზეცა და ცანი ცათანი, დედამიწა და ყოველივე, რაც მასშია. მაგრამ შენს მამებს მიაპყრო იეჰოვამ თავისი ნაზი გრძნობები, შეიყვარა ისინი და გამოარჩია მათ შემდეგ მათი თესლი, ანუ თქვენ, ყველა ხალხიდან, როგორც დღეს არის“. ახლა ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი, და უნდა მივაპყროთ ჩვენი ნაზი გრძნობები მისკენ.

მე-12 მუხლში მოსე ლაპარაკობს იმაზე, რომ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და უნდა ვემსახუროთ მას მთელი ჩვენი გულითა და მთელი ჩვენი სამშვინველით. ჩვენი გული დაკავშირებულია ჩვენს სულთან, ვინაიდან ჩვენი სინდისი, როგორც ჩვენი სულის ერთ-ერთი ნაწილი, ასევე არის ჩვენი გულის ნაწილიც. ამრიგად, ის, რომ ჩვენ გვიყვარს ღმერთი და ვემსახურებით ღმერთს მთელი ჩვენი გულითა და მთელი ჩვენი სამშვინველით, ნიშნავს, რომ ჩვენ ასევე გვიყვარს ღმერთი და ვემსახურებით ღმერთს ჩვენი სულით. გარდა ამისა, 6:5-ის თანახმად, ჩვენ ასევე უნდა გვიყვარდეს ის მთელი ჩვენი ძალით, ანუ ჩვენი ფიზიკური ძალით. თუ ჩვენ დღეს გვინდა, რომ ვემსახუროთ ღმერთს და გვქონდეს ახალი გზის პრაქტიკა, ჩვენ უნდა ვიმსახუროთ ჩვენი სულით, და ასევე მთელი ჩვენი გულით, მთელი ჩვენი სამშვინველითა და მთელი ჩვენი ძალით. იმისათვის, რომ მივიდეთ ადამიანებთან იმ მიზნით, რომ გადავარჩინოთ ისინი და მოვნათლოთ, და შემდეგ ვიზრუნოთ მათზე, საჭიროა მთელი ჩვენი გული, მთელი ჩვენი სამშვინველი და მთელი ჩვენი ძალა („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 69-71).

კვირა 5 – დღე 5

დილის საკვები

ებრ. 10:31	**საშიშია ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა.**
12:29	**რადგან ჩვენი ღმერთი შთანმთქმელი ცეცხლია.**
გალ. 6:7	**ნუ მოტყუვდებით: ღმერთი არ ხდება დასაცინი; ვინაიდან რასაც დათესავს ადამიანი, იმას მოიმკის.**

ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ გვეშინოდეს ცოცხალი ღმერთის. ჩვენ არ უნდა მოვიქცეთ დაუდევრად; ღმერთი არ ხდება დასაცინი (გალ. 6:7)... ღმერთი ხშირად ნებას აძლევს წარმართებს, რომ იცხოვრონ თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგრამ ის არასოდეს არ ექცევა თავის შვილებს დაუდევრად... ის გვსჯის ჩვენ, რათა შევძლოთ, რომ ვეზიაროთ მის სიწმიდეს... ბიბლია ამბობს: „ვინც უყვარს, იმას სჯის უფალი, სცემს ყოველ ძეს, ვისაც იღებს“ (ებრ. 12:6), და ის ამბობს, რომ სასამართლო იწყება

ღმერთის სახლიდან (1 პეტ. 4:17). ამიტომ ჩვენ უნდა გვეშინოდეს ღმერთის. მოციქული პავლე ამბობს: „საშიშია ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა“ და „ჩვენი ღმერთი შთანმთქმელი ცეცხლია“ (ებრ. 10:31; 12:29). ჩვენ ვეკუთვნით ცოცხალ ღმერთს. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ ხედავს, როდის ვიქცევით დაუდევრად, ან არ ესმის, რას ვლაპარაკობთ. საშინელებაა ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ გვეშინოდეს მისი.

ცოცხალი ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, არ ხდება დასაცინი. ის იკვლევს ჩვენს განზრახვებს, აზრებს, გრძნობებსა და ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ჩვენთან; მისგან ვერაფერი ვერ დაიმალება. ჩვენ უნდა გვეშინოდეს ღმერთის და უნდა ვიცოდეთ, რომ ის არის გამსამართლებელი ღმერთი და რომ სასამართლო იწყება მისი სახლიდან. ჩვენ უნდა გვეშინოდეს ღმერთის ჩვენს განზრახვებში, აზრებში, განწყობაში, ცხოვრებასა და მსახურებაში, ვინაიდან ის არის ცოცხალი ღმერთი, რომელიც არ ხდება დასაცინი (*ვიტნეს ლის ნაშრომების კრებული, 1957, ტ. 3, „ცოცხალი ღმერთი და აღდგომის ღმერთი“).

დღეს წასაკითხი

ღმერთი არა მარტო ასამართლებს ადამიანის მდგომარეობას, არამედ ნებას რთავს, რომ გამოვლინდეს მისი მდგომარეობა. ღმერთის სასამართლო მიმართულია იმისკენ, რომ რაღაც გამოავლინოს, და ის გააკეთებს ისე, რომ ყველაფერი გახდეს აშკარა (1 კორ. 3:13; ეფეს. 5:13; 1 ტიმ. 5:24)... ის, რომ ღმერთი ყველაფერს აშკარას გახდის, ამტკიცებს, რომ ის არის ცოცხალი ღმერთი. მას არაფერი არ რჩება ყურადღების მიღმა. ამიტომ ჩვენ არ უნდა დავრჩეთ იმ მდგომარეობაში, რომელიც შეუთავსებელია ღმერთის ბუნებასთან.

თუ ადამიანს ეშინია ღმერთის, ადრე თუ გვიან მას გამოააშკარავებს ღმერთი. ღმერთის წინაშე შიში არ არის ფუჭი. ღმერთი იცნობს მათ, ვისაც მისი ეშინია. ძველ აღთქმაში მსგავსი მაგალითი იყო იოსები. მას ეშინოდა ღმერთის და ვერ ბედავდა, რომ შეეცოდა ღმერთის წინაშე. სხვებმა ცრუ ბრალდება წაუყენეს მას და ციხეში ჩასვეს (დაბ. 39). საბოლოოდ ღმერთი მოვიდა და ყველაფერი გამოააშკარავა. იოსები გამოვლინდა როგორც ღვთისმოშიში ადამიანი და აყვანილ იქნა ტახტზე (41:38-44). ღმერთი გამოავლენს ჩვენს რწმენას ღმერთში და სიყვარულს ღმერთის მიმართ. ძმა, რომელსაც სურს, რომ აჩვენოს თავისი სიყვარული ღმერთის მიმართ, ერთხელაც გამოაშკარავდება, ანუ გამოვლინდება. თუ მას სურს, რომ სააშკარაოზე გამოიტანოს თავისი რწმენა ადამიანების წინაშე, ღმერთი გამოავლენს ამას. ამრიგად, ვერავინ ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას, ვინაიდან ღმერთი გამოააშკარავებს, მართალია თუ არა ადამიანი. ჩვენი ღმერთი არის ცოცხალი ღმერთი და ის არ იქცევა დაუდევრად. თუ ჩვენ გავიცნობთ ღმერთს ამგვარად, ჩვენ გვექნება შიში მის მიმართ და დაიმედებული ვიქნებით მასზე. ის არის სამყაროს მბრძანებელი, და მას აქვს ძალაუფლება ყოველივეზე სამყაროში. ის არ მოქმედებს დაუდევრად და არაფერი არ რჩება ყურადღების მიღმა. ის არის დიადი და იმავდროულად დახვეწილი. მისთვის არაფერი არ არის იმდენად უმნიშვნელო, რომ დარჩეს შეუმჩნეველი.

ღმერთი ყველაფერს ავლენს თავისი ბუნების შესაბამისად. მას სურს, რომ გამოვლინდეს როგორც სიწმიდე, სამართლიანობა, სინათლე და სიყვარული. ძველი აღთქმისეული კანონი გამოხატავს ღმერთის ბუნებას. ღმერთი ასამართლებს თავის ხალხს ძველ აღთქმაში თავისი კანონის თანახმად, ანუ თავისი ბუნების თანახმად. იმისათვის, რომ გამოავლინოს თავისი ბუნება, მან უნდა იმუშაოს თავის ხალხზე. ის უნდა შეეხოს ჩვენს განზრახვებს, ჩვენს აზრებს, და ჩვენს ცხოვრებასა და სამუშაოს, რათა ჩვენ არ წარვადგინოთ ის არასწორად. ის გახდის აშკარას ჩვენს სიყვარულს მის მიმართ, სიძულვილს მის მიმართ, შიშს მის მიმართ ან დაცინვას მის მიმართ. ჩვენი ღმერთი დიადი ღმერთია, მაგრამ იმავდროულად ის არის ფართო ღმერთი. ის ასევე არის ძალიან დახვეწილი და ყურადღებიანი. ის ანათებს, ის არის სინათლე, ის არის წმიდა, და ის არის სიწმიდე. მას უნდა, რომ ჩვენ ვიყოთ სინათლის შვილები, და მას უნდა რომ იყოს ჩვენი ღმერთი (ეფეს. 5:8; იოანე 20:17). ღმერთის თითოეულ შვილს უნდა ეშინოდეს მისი და ნუგეში უნდა მიიღოს მისგან, ვინაიდან ის არის ცოცხალი ღმერთი (*ვიტნეს ლის ნაშრომების კრებული, 1957, ტ. 3, „ცოცხალი ღმერთი და აღდგომის ღმერთი“).

კვირა 5 – დღე 6

დილის საკვები

რჯლ. 8:6	**ამრიგად, დაიცავი იეჰოვას, შენი ღმერთის მცნებები, რათა იარო მისი გზებით და გეშინოდეს მისი.**
20:34	**და უთხრას მათ: „ისმინე ისრაელ! დღეს შეებრძოლებით თქვენს მტრებს. ნუ შედრკება თქვენი გული; ნუ შეგეშინდებათ, და ნუ შეძრწუნდებით, ნუ დაფრთხებით. ვინაიდან თვით იეჰოვა, თქვენი ღმერთი, მოდის თქვენთან ერთად, რათა გადაგარჩინოთ“.**

უფალმა იესომ თქვა: „მე ვარ გზა“ (იოანე 14:6). ვინაიდან უფალი იესო არის თვით ღმერთი, ეს სიტყვები მიუთითებს იმაზე, რომ გზა არის თვით ღმერთი. მივიღოთ ის, რასაც წარმოადგენს ღმერთი, როგორც ჩვენი გზები, და ვიაროთ ამ გზებით, ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ ღმერთი. როდესაც ჩვენ ვიღებთ ქრისტეს, როგორც ჩვენს გზას, ჩვენ

ვცხოვრობთ მას იმაში, რასაც ის წარმოადგენს. ის მორჩილია, და ჩვენც უნდა ვიცხოვროთ მორჩილების გზით. ის არის ის, ვინც ყოველთვის იღებს ჯვარს, და ჩვენც უნდა ვიაროთ ჯვრის გზით. მივიღოთ ქრისტე, როგორც ჩვენი გზა, ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ ის, ხოლო ვიცხოვროთ ის, ნიშნავს, რომ გამოვხატოთ ის, გამოვავლინოთ ის და განვადიდოთ კიდეც ის. აქედან გამომდინარე, ვიაროთ ღმერთის გზებით, ნიშნავს, რომ ვიცხოვროთ ღმერთი, გამოვხატოთ ღმერთი, გამოვავლინოთ ღმერთი და განვადიდოთ ღმერთი. ჩვენ უნდა მივიღოთ ღმერთი, როგორც ჩვენი გზა, და შედეგად მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევა ის („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 70).

დღეს წასაკითხი

ახალი იერუსალიმის ხედვა გვიხსნის, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ღმერთი, როგორც ჩვენი უნიკალური გზა. ახალ იერუსალიმში მხოლოდ ერთი ქუჩაა, რომელიც წმინდა ოქროსია (გამოცხ. 21:21); ეს ნიშნავს, რომ ღმერთის ბუნება არის ჩვენი გზა. სიცოცხლის წყლის მდინარე გამოდის ღმერთისა და კრავის ტახტიდან და მიედინება ქუჩის შუაგულში (გამოცხ. 22:1). ეს არის იმის ილუსტრაცია, რომ ღმერთი არის ჩვენი სიცოცხლეც და ჩვენი გზაც. ჩვენ ვიღებთ ღმერთს, როგორც ჩვენს სიცოცხლეს, და შემდეგ მისი სიცოცხლე, მის ბუნებასთან ერთად, ხდება გზა, რომლითაც ჩვენ დავდივართ. დღეს ჩვენ ყველას უნდა გვეშინოდეს ღმერთის და უნდა ვიაროთ მისი გზებით.

ჩვენ თავისთავად არა გვაქვს არც ძალა, არც შესაძლებლობა, რომ ვიბრძოლოთ. თუ ჩვენ საკუთარ თავზე ვიქნებით დაიმედებული, ვერანაირად ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ გავიმარჯვებთ ომში. იმ დროს, როდესაც ვიბრძვით, ჩვენ გვჭირდება იმის გაცნობიერება, რომ ვიბრძვით იმისათვის, რაც მოგვცა ღმერთმა. ღმერთმა უკვე მოგვცა კეთილი მიწა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ მტრების წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ კი არ უნდა ვილოცოთ, არამედ უნდა ვიბრძოლოთ კიდეც. სინამდვილეში, ჩვენ არ ვიბრძვით, ვინაიდან ღმერთი მოდის ჩვენთან ერთად და იბრძვის ჩვენ ნაცვლად. როგორც კი მტრები დამარცხდებიან, დედამიწა გაიწმინდება იმისათვის, რომ ჩვენ დავიმკვიდროთ ის.

ამ ბრძოლის პრინციპი არის იგივე პრინციპი, რომელსაც ვხედავთ მთელ მეორე რჯულში. ეს პრინციპი არის ის, რომ ღმერთის სურვილია, რომ ჩვენ გავაკეთოთ ესა თუ ის რამ, მაგრამ მას არ სურს, რომ ჩვენ ეს ყველაფერი დამოუკიდებლად გავაკეთოთ. ბრძოლა არის ჩვენი ვალდებულება, მაგრამ ჩვენ ვერ შევასრულებთ ამ ვალდებულებას დამოუკიდებლად. ჩვენ მხოლოდ უფალში რწმენით შეგვიძლია, რომ ვიბრძოლოთ, და შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება. ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ უფალმა წინასწარ განგვისაზღვრა, რომ ვიბრძოლოთ და რომ ის იბრძოლებს ჩვენ ნაცვლად. ჩვენ უბრალოდ უნდა მივიღოთ მისი სიტყვა და უნდა მოვუსმინოთ მას, და უნდა ვიცოდეთ, რომ შედეგი დამოკიდებულია უფალზე. თუ ჩვენ ჩვენს ვალდებულებას ასე შევასრულებთ, უფალი კმაყოფილი იქნება.

ისინი, ვინც წუხდნენ თავიანთ სახლზე, თავიანთ ვენახებზე ან თავიანთ ცოლებზე, და ისინი, ვისაც ეშინოდათ, არ უნდა შესულიყვნენ ჯარში და არ უნდა გამოსულიყვნენ საბრძოლველად. დღეს ჩვენ მიმართაც იგივე პრინციპი გამოიყენება. მთელი ეკლესია

არის ჯარი, მაგრამ ბრძოლაში ყველამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ბრძოლაში ჩვენი მონაწილეობა დამოკიდებულია ჩვენს ვითარებებზე. ბრძოლაში მხოლოდ მათ შეუძლიათ მონაწილეობა, ვინც არაფრით არ არის შეკრული. იმ დროს, როდესაც ისინი იბრძვიან, დარწმუნებით უნდა შეეძლოთ ამის თქმა: „მე არ ვიბრძვი. იბრძვის უფალი, რომელზეც მე ვარ მინდობილი“.

ვინაიდან ჩვენ გვაქვს ღმერთის სიცოცხლე, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღმერთისაგან, რათა ვიყოთ ისეთები, როგორიც ის არის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ვიზრუნოთ ჩვენი ძმების ინტერესებზე, რომლებთან ერთადაც ვართ ქრისტეს სხეულის ასოები... ჩვენს ცხოვრებაში არ უნდა იყოს არანაირი ნარევი, ვინაიდან ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვიყოთ გაუორებელი, უბრალო და სუფთა... გარდა ამისა, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ყველაფერი, რაც წარმოიქმნება და უნდა ვიყოთ ფრთხილად, რომ არ დავკარგოთ უფლის კრებაზე შესვლის უფლება. იმისათვის, რომ გავაკეთოთ ეს ყველაფერი, ჩვენ გვჭირდება ღვთაებრივი სიცოცხლე – სიცოცხლე, რომელიც მუშაობს ღმერთთან ერთად მისი ხალხისათვის („მეორე რჯულის სიცოცხლის შესწავლა“, გვ. 70, 175-176, 178, 186).